შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №6

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი 2011წ.

ს.ს. „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველ ორგანიზაციად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მამათელაშვილის სახით, და შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის №337 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. „მხარე“ ნიშნავს შემსყიდველ ორგანიზაციას და მიმწოდებელს.
5. „მხარეები“ ნიშნავს შემსყიდველ ორგანიზაციას და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი ორგანიზაცია: **ს.ს. „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“**

მიმწოდებელი: **შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი“**

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – ნიშნავს შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის №337 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საწარმოს.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისაგან ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ხელშეკრულების ფასის ფარგლებში კომპიუტერების შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად.

2.2 შემსყიდველი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2011 წლის 12 ოქტომბრიდან 2011 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 14381.00 (თოთხმეტი ათას სამას ოთხმოცდაერთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. ერთეულის ღირებულებები მითითებულია დანართი №1-ში.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ვადები, ვალუტა და ფორმა

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მხარე პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მხარის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე. თითოეული მისაწოდებელი საქონლის გარანტია მითითებულია დანართი №1-ში.

7.2 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში საგარანტიო პერიოდიში საქონლის მწყობრიდან გამოსვლისას შემსყიდველი ორგანიზაცია წერილობითი ფორმით (მ.შ ელექტრონულ მისამართზე: support@orient-logic.com) აცნობებს ხარვეზის აღმოფხვრის საჭიროების შესახებ “მიმწოდებელს”. წერილის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა “მიმწოდებელი ახდენს რეაგირებას.” მომსახურების საგნის სერვისულ ცენტრში მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში “მიმწოდებელი” ადგენს დეფექტურ აქტს, რომელიც შეიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. ხარვეზის აღმოფხვრა ხორციელდება საშუალოდ 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები “მიმწოდებელს” აქვს ადგილზე (საწყობში). წინააღმდეგ შემთხვევაში 25(ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

8.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) მიწოდებულ საქონელზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია თავისუფლდება მიუწოდებელი ან/და უხარისხო საქონლის ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

ბ) განიხილოს შემსყიდველი ორგანიზაციის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

9.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველი ორგანიზაციის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების დადების საფუძველი

11.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი არის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 12 ოქტომბრიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2011 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

13.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

13.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი"
საიდ.კოდი 404391975
ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ. №2
ბანკის დასახელება ს.ს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE15BG0000000886103300
ბანკის კოდი: BAGAGE22

დირექტორი
არჩილ მამათელაშვილი

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი"
საიდ. კოდი 202052054
ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა №8.
ბანკის დასახელება ს.ს. „პროკრედიტ ბანკის" ცენტრალური ფილიალი
ა/ა 4101467822
ბანკის კოდი 220101922

დირექტორი
ვაჟა ნასყიდაშვილი

N	საქონელი	აღწერა	ერთეულის ფასი ლარში	რ-ობა	მთლიანი ფასი ლარში
1	LG643EA	HP ProBook 6460b : Intel i5-2410M 2,3 / 14" HD HD+ 1600x900 WVA AG +WebCam / 4Gb / 500Gb 7200rp / DVD+RW/ W7 64bit : Memory DDR3-1333 (Expandable to 8Gb), Chipset Intel HM65 Express : Screen 16:9 aspect ratio: Graphics: Integrated Intel® HD 3000 : Touchpad, HP Premier Sound™, Stereo Speakers, Modem 56 Kb, Dual-microphone : Ports: 3 USB 2.0 (one USB port compat. with e-SATA), VGA, DisplayPort, mic in, line out, IEEE 1394a, RJ-11, RJ-45, Secondary battery, docking : Slot: 1 ExpressCard/54 slot, Media Card Reader; HP Fingerprint Sensor : Communications: Wireless: WLAN 802.11 b/g/n, Bluetooth 2.1; LAN (Ethernet 10/100/1000), : Dimension 33.8 / 23.1 / 3.4 cm, Weight 2.02 Kg, Li-ion battery 6 Cell, : One-year worldwide warranty :	2050,00	3	6150,00
2	LH348EA	HP ProBook 4730s : Intel i3-2310M 2,1 / 17,3" HD+ AG 1600x900 +WebCam / 4Gb / 640Gb 5400rpm / DVD+RW / Linux +Case : Graphics: ATI Mobility Radeon HD 6470 with 1GB dedicated video memory (discrete) : Memory DDR3-1333 (Expandable to 8Gb), Chipset Intel HM65 Express, : Screen 16:9 aspect ratio: Graphics: Integrated Intel HD graphics : Touchpad with Multi-touch fuction, Stereo Speakers, Microphone, LAN (Ethernet 10/100,1000), Numeric Keyboard : Ports: 4 USB 2.0, VGA, mic in, line out, HDMI 1.3, AC power, RJ-11, RJ-45 : Slot: 1 ExpressCard/34 slot, Media Card Reader Supports SD, MMC, Memory Stick, Memory Stick Pro, Memory Stick Duo*, xD-Picture card : Communications: Wireless: Broadcom 802.11 b/g/n, Bluetooth 3.0 : Dimension 41 / 28 / 2.9 cm, Weight 2,9 Kg, Li-ion battery 8 Cell, : One-year worldwide warranty :	1478,00	1	1478,00

3	LG671EA	HP EliteBook 8760w Mobile Workstation : Intel i7-2630QM 2,0 / 17,3" FHD 1920x1080 AG LED WVA +WebCam HD / 4Gb / 500Gb 7200rpm / DVD / W7 HP 64 bit : NVIDIA Quadro 3000M with 2GB dedicated video memory DDR5 : Memory DDR3-1333(Expandable to 8Gb), Chipset Intel® QM67 Express : NVIDIA Quadro 3000M with 2GB dedicated video memory DDR5 : Touchpad & pointstick; SRS Premium Sound, Stereo Speakers, Modem 56 Kb, Dual-microphon, Numeric Keyboard : Ports: 2 USB 3.0, 3 USB 2.0 (one USB port compat. with e-SATA), VGA, mic in, line out, IEEE 1394a, AC power, RJ-11, RJ-45, : DisplayPort, Secondary battery, docking : Slot: ExpressCard/54 slot; Smart card reader; SD card slot; HP Fingerprint Sensor : Communications: Wireless: WLAN 802.11 a/b/g/n, Bluetooth 2.1; LAN (Ethernet 10/100/1000), : Dimension 41 / 27 / 3.7 cm, Weight 3,5 Kg, Li-ion battery 8 Cell : Three-year worldwide warranty :	4250,00	1	4250,00
4	WR743AA	23" HP S2331a LCD 0,265 / 1920 x1080 60Hz / D-SUB & DVI-D w/ HDCP / 170°|160° / 300 nits / 1000:1/ 5 ms / 1 Years Warranty	404,00	1	404,00
5	XT307EA	HP Pro 3300 : Intel i3-2100 3,1 / 2Gb / 500Gb 7200rpm/ DVD+/-RW / Free DOS : Memory: DDR3-1333 (Expandable to 8Gb) 2 DIMM slots, : Audio: Realtek ALC656 High Definition audio codec 3D audio compliant and HD Audio compatible : Video: ntegrated Intel HD Graphics : Lan: Integrated Realtek RT8171E Gigabit Ethernet : Free Slots: 1*mini PCI, 1*PCI-Ex16, 3*PCI Ex1 : Ports: Rear: 4*USB 2.0, 1*RJ45, 1*VGA, audio in/out, microphone in, SPDIF out , DVI-D; Front: 4*USB 2.0, audio in/out : Drive bays: Internal 2*3,5"; External 2*5,25", 1*3,5"; : Chassis type: microtower, : USB Keyboard, USB 2-Button Optical Scroll Mouse : One-year warranty :	985,00	1	985,00
7	RH304AA	HP USB Optical Travel Mouse One-year worldwide warranty	16,00	5	80,00
8	CASE	HP Basic Messenger Carrying Case (AP355AA) One-year worldwide warranty	40,00	1	40,00
9	CASE	HP Business Nylon Case (BP848AA) One-year worldwide warranty	40,00	1	40,00
9	CASE	PORT BUNDLE 15-16" "ACCESS DUO PACK" (501448) One-year worldwide warranty	38,00	1	38,00
10	CASE	PORT CASE 13-14" "BERLIN SKIN RED" (140173) One-year worldwide warranty	50,00	1	50,00

11	CE862A	hp Color LaserJet CM1415fnw printer, copier, scanner, fax : Print: A4, 12/8 ppm 600/ 600 dpi Black / Color; duty cycle 30,000 p/month; : Copy: A4, 12/8 cpm 600/ 600 dpi Black / Color; Reduce/enlarge: 25 to 400%; Max. copies: 99 : Scan: A4, 1200dpi, 24 bit color / 256 gray; : Paper: input: 1x150, output 125 pages: ADF 35p. 160MB RAM; : Fax: 33.6kbps fax, 3 sec/page; Incoming fax memory 250 pg, Fax speed dials 120# : Connectivity: USB 2.0; RJ-11; Ethernet 10/100Base-T, Wireless 802.11 b/g/n : Cartridges: HP 128A CE320A black (2,000 page), CE321A cyan, CE322A yellow, CE323A magenta (1,300 page each) : One-year worldwide warranty	866,00	1	866,00

ჯამი დღგ-ს ჩათვლით: 14381.00 (თოთხმეტი ათას სამას ოთხმოცდაერთი) ლარი

შემსყიდველი:

არჩილ მამათელაშვილი

JSC GEORGIAN ENERGY DEVELOPMENT FUND
GEDF
404391575

მიმწოდებელი:

ვაჟა ნასყიდაშვილი

GEORGIA TBILISI
ORIENT LOGIC Ltd
RN 202052054